ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ

7 ივლისი, შაბათი, 1990 წ.
№ 126 (10 295) ● ფასი 8 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

მსოფლიოს XIV ჩემპიონატი ფეხბურთში

ITALIA'90

ნახევარფინალები

3. ივლისი. ნეაპოლი: **არგენტინა — იტალია 5:4 (1:1, 1:1, პენალტებით — 4:3)**

4 ივლისი. ტურინი: **გფრ — ინგლისი 5:4, (1:1, 1;1, პენალტებით — 4:3)**

ვინ მოიპოვებს ჩემპიონობას მესამედ?

დასასრულს მიუახლოვდა მსოფლიოს XIV საფეხბურთო ჩემპიონატი. იტალიის სტადიონებზე ერთი თვე მიმდინარეობდა შეუპოვარი ბრძოლები, მრავლად იყო საოცრებანიც, მოულოდნელი შედეგებიც, ფავორიტთა გაწბილებაც და აუტსაიდერთა სენსაციური მიღწევებიც და ახლა, როგორც იტყვიან, ყველაფერი რიგზე დადგა, მთელ ამ მოულოდნელობათა შემდეგ ვერავინ იტყვის, რომ პირველი ოთხი ადგილისთვის მებრძოლ გუნდებში, რომელიმე „უცნობი" შეიპარა: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, არგენტინის, იტალიისა და ინგლისის გუნდები მუდამ იყვნენ და დღესაც არიან მსოფლიოს საფეხბურთო ელიტის უპირველესი წარმომადგენლები.

იტალიაში გამეორდა მექსიკის 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ანალოგია: ოქროს მედლებისთვის, როგორც ეს მეხიკოში იყო, რომის „ოლიმპიკოს" სტადიონზე ერთმანეთს შეხვდებიან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და არგენტინის ფეხბურთელები.

მაგრამ საოცარია, როგორ სწრაფად იცვლება ფეხბურთში სიმპათიები და კეთილი განწყობილებანი. ჯერ კიდევ ორიოდე დღის წინ აზელიო ვიჩინის, იტალიის ნაკრების უფროს მწვრთნელს, ეროვნულ გმირად რაცხდნენ და ერთ-ერთ უდიდეს პიროვნებად მიაჩნდათ, ახლა კი აქაური გაზეთი „კორიერე დელო სპორტი" დაურიდებლად მიმართავს სწორედ მას, ვისაც გუშინ აღმერთებდა: „ვიჩინი, გვითხარი რა მოხდა?", მერე კი იმავე ტონით, კატეგორიულად მიუთითებს, რომ ყოველთვის იყო და ასეც იქნება; ძირითადად ბრალი მუდამ დამარცხებულ გენერალს ედება.

შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ შესაძლოა ასეთი დასკვნა ყოველთვის მართებული არ არის, მაგრამ ასეთია სპორტის ულმობელი კანონი. ა. ვიჩინიმ ცვლილება მოახდინა გამარჯვებულ გუნდში, შემადგენლობაში რ. ბაჯოს ნაცვლად ჯ. ვიალი შეიყვანა და... ამით გააფუჭა ყველაფერი. მართალია, ვიალიმ ჩემპიონატის დასაწყისში საუკეთესო მხრივ გამოიჩინა თავი, მაგრამ, გაზეთის აზრით, მაინც, რობერტო ბაჯოს ნახევარფინალში თავიდანვე უნდა ეთამაშა გუნდის შემადგენლობაში.

„კორიერე დელო სპორტს" სხვა გაზეთებიც მხარს უბამენ, ყველა ეძებს დამარცხების მიზეზს, ყველა ცდილობს გამართლება მოუძებნოს თავის არგუმენტებს, მაგრამ ა. ვიჩინის არავინ ინდობს, კერძოდ, მიუთითებენ, რომ არგენტინელი კლაუდიო კანიჯას ნეიტრალიზაციისთვის აუცილებლად საჭირო იყო პიეტრო ვერხოვოდის თავიდანვე გამოყვანა, პასიურად მოქმედმა „მელანქოლიურმა ჯანლუკა ვიალიმ" კი ვერ შეძლო ენერგიული და აქტიური რობერტო ბაჯოს შეცვლა.

ყველაფერი ეს ძველისძველი საფეხბურთო ამბებია. ახლა მწვრთნელის გარდა კრიტიკის ქარცეცხლში მოექცნენ ფეხბურთელებიც. სალვადორე სკილაჩის გუშინ ქებათაქებას უძღვნიდნენ, დღეს აღნიშნავენ, რომ ესაა მხოლოდ „რიგითი ხელოვანი" და მეტი არაფერი, კითხვის ნიშნის ქვეშ დგას ჯუზეპე

იხ. მე-3 გვ.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ინგლისის გუნდების ნახევარფინალური მატჩის ბედი არსებითად გადაწყდა მაშინ, როცა გერმანელმა მეკარემ ბ. ილგნერმა მოიგერია ინგლისელი სტიუარტ პირსის მიერ დარტყმული 11-მეტრიანი. მეკარე შორს გადახტა, მაგრამ მოასწრო ფეხით მოეგერიებინა ბურთი, რაც კარგად ჩანს სურათზე.

გერმანელთა მეკარემ ბოდო ილგნერმა იხსნა თავისი გუნდი და მატჩის დამთავრების შემდეგ დასავლეთგერმანელი ფეხბურთელები ხამაგიეროს მიუზღავენ თავიანთ მეკარეს.

რეიტერ-საკდეს-საქინფორმის ფოტოები.

ახლა კი — უეჭველად

„გრან პრი" და უფრო მცირე წარმატებები

ჩვენი მშვილდოსანი გოგოების თითქმის ყველა ბოლო გამოსვლა დიდი თუ პატარა სენსაციით მთავრდება. 18 წლის ნატო ნასარიძემ, როგორც უკვე გაცნობეთ, მესამე ადგილი დაიკავა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში, ამას წინათ ბრესტში. მაგრამ მხოლოდ ახლა უნდა

გაუწყოთ, რომ იქ შეჯიბრების ლიდერებს ამ ხნის განმავლობაში სათავეში ედგათ კიდევ ერთი თბილისელი მოისარი, 17 წლის ხათუნა ქვრივიშვილი, სამწუხაროდ, იგი სწორედ დასკვნითი სერიების დროს შეუძლოდ შეიქნა (ჩვენი მწვრთნელების აზრით, დიდი სიცხის გამო). მსაჯებმა დაუშვეს გამონაკლისი და გათვალისწინებული 5 წუთის მაგივრად მთელი 40 წუთი უცადეს (ეტყობა, იმიტომ, რომ საქმე ლიდერს ეხებოდა) და რადგან ხათუნამ მაინც ვერ შეძლო სარბიელზე გამოსვლა, იგი შეჯიბრებიდან მოხსნეს. ეს მეტად დასანანი შემთხვევა იყო, მით უმეტეს, რომ საქართველოს ნაკრებმა გუნდურ პირველობაში ვეღარ იასპარეზა, თან ეს ტურნირი შესარჩევი შეჯიბრება გახლდათ ევროპის ჩემპიონატისათვის, რომელიც 22-28 ივლისს ბარსელონაში გაიმართება.

საბჭოთა კავშირის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა არსენ ბელოვმა ხათუნას კიდევ ერთი შესაძლებლობა მისცა, იგი გუნდში ჩარიცხა გფრ-ის დიდ საერთაშორისო ტურნირზე საასპარეზოდ, რომელსაც „ეროვნებათა თასი" ჰქვია. ბელოვისივე თქმით, წარმატების შემთხვევაში ხათუნას ევროპის ჩემპიონატზე გამოსვლა უეჭველი ხდებოდა. რაც შეეხება ნატოს, მან ეს უფლება მტკიცედ დაიჯავშნა მთელი სეზონის განმავლობაში სტაბილური წარმატებებით.

ფრანკფურტში ხათუნა ქვრივიშვილმა პირდაპირ სენსაცია მოახდინა — მეორე ადგილი დაიკავა. არ დაგვავიწყდეს, ტურნირი „გრან პრის" პროგრამით გაიმართა და მან კონტინენტის მრავალ უძლიერეს მსროლელს მოუყარა თავი. ნატო ნასარიძე ძალიან კარგად გამოვიდა — მეხუთე ადგილი დაიკავა. ახლა მათი გამგზავრება ევროპის ჩემპიონატზე ეჭვს აღარ იწვევს.

ხათუნაც და ნატოც „მართვეს" გუნდის წევრები არიან, ორივეს ვლადიმერ ლეკვეიშვილი და ალექსანდრე მექევიძე ავარჯიშებენ.

სურათზე: ხათუნა ქვრივიშვილი.

• • •

წარმატებით იასპარეზეს ჩვენმა უმცროსი ასაკის მშვილდოსნებმაც, ოღონდ საკავშირო პირველობებში. ხათუნა ქვრივიშვილის უმცროსმა ძმამ, 15 წლის ალექსანდრემ, გაიმარჯვა რიგის ღია ტურნირში და მრავალი უფროსი ასაკის მეტოქე ჩამოიტოვა. მეორე ადგილიც მისმა თანატოლმა — ზაქრო მაზმიშვილმა დაიკავა ორივე თბილისის სპორტკომიტეტის სპორტული სკოლის („მართვე") აღსაზრდელია (დირექტორი — ელდარ ფარჯანიძე).

ამ ნორჩმა სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს, აგრეთვე „შრომითი რეზერვების" საკავშირო პირველობაში, რომელსაც ჩერნოვცმა უმასპინძლა. აქ საუკეთესოდ გამოვიდა თბილისელი სულიკო თოფურია, რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო ალექსანდრე ქვრივიშვილმა — მესამე.

საგანგებო შემთხვევა

უსამართლობიდან — საკუთარ ჯიბემდე

აშკარა წინააღმდეგობისა და საერთაშორისო სპორტულ ურთიერთობებში ცენტრიდან ხელის შეშლის შემთხვევები, რაც დრო გადის, სულ უფრო ხშირდება და აქამდე შენიღბული ხრიკები ზოგჯერ აშკარა დაპირისპირებაში გადადის. ამ დღეებში კიდევ ერთი ასეთი შემთხვევა მოხდა.

12 წლის ასაკამდე მოჭადრაკე გოგონათა მსოფლიო ჩემპიონატში საქართველოდან დიანა დარჩია (იგი ამ ასაკში ერთხელ უკვე გახდა ჩემპიონი) და სოხუმელი რ. გოლეთიანი ითამაშებენ. რედაქციაში ბათუმიდან მივიღეთ დეპეშა — გვატყობინებდნენ, დარჩია ჩემპიონატზე ვერ გაემგზავრება, თუ საქართველოდან მწვრთნელი არ გაჰყვებაო. გოლეთიანი კი თავის აღმზრდელ მ. იმელიანთან ერთად უნდა გამგზავრებულიყო შეჯიბრებაზე.

რედაქცია დაინტერესდა, და, აი, რა გაირკვა: სსრ კავშირიდან ჩემპიონატზე სულ 5 მოჭადრაკე და 3 მწვრთნელი წავა. მწვრთნელებიდან არც ერთი არ არის საქართველოს წარმომადგენელი, თუმცა ორი მოჭადრაკე, ერთი უკვე მსოფლიო ჩემპიონი, — ჩვენია. ვინ არის ის სამი მწვრთნელი? ბოტვინიკი, პუკშანსკი და დვორეცკი. ბოტვინიკი მწვრთნელი არ არის, ფუნქციონერია, ფედერაციაში მუშაობს, სამაგიეროდ დიდი მიხეილ ბოტვინიკის ნათესავი ყოფილა. პუკშანსკი ლენინგრადელია და მისი ერთი მოწაფე მიდის ჩემპიონატზე, მესამე მწვრთნელია დვორეცკი, რომელიც ამერიკაში შეუერთდება დელეგაციას. აი, ასე — ვისაც სურს, ცენტრი იმას სწყალობს.

ამ უსამართლობასთან დაკავშირებით საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარის მოადგილე ჯ. ბაგრატიონი ესაუბრა საკავშირო სპორტსახკომის ხელმძღვანელობას. პასუხი ასეთი იყო — ვალუტა არა გვაქვს, თუ იშოვით თქვენს მოჭადრაკეებს რომ თქვენივე მწვრთნელი გაჰყვეს, წინააღმდეგი არ ვიქნებით.

ისევ ვალუტის პრობლემა, ცხადია, იმათთვის, ვისი დახმარებაც ცენტრს არ სურს.

სხვა გზა არ არის, ისევ შინაურებში უნდა მოვიკითხოთ: იქნებ ვინმეს გაქვთ შესაძლებლობა, რომ დავეხმაროთ ჩვენს მოჭადრაკეებს?

აქვე გვინდა ვიკითხოთ: რატომ არ გააფორმა ქუთაისელმა მწვრთნელმა ა. რაზოვსკიმ დროულად საბუთები, როგორც დ. დარჩიას მწვრთნელმა? ამ კითხვაზე პასუხს კი ქუთაისიდან ველით.

ქართული სპორტის პროპაგანდისათვის

მოგმართავთ, დაგვეხმარეთ...

ამას წინათ, „ლელო" იუწყებოდა, რომ საერთაშორისო შეჯიბრებები, სადაც საქართველოს წარმომადგენლები გამოდიან, ჩვენმა სპორტსმენებმა და სპეციალისტებმა აქტიურად უნდა გამოიყენონ ქართული სპორტის პროპაგანდისათვის. ამგვარ პროპაგანდას დიდი ხანია მიმართავენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნები და ასპარეზობათა პრესცენტრებში შესაბამისად ბუკლეტებსაც კი ავრცელებენ.

მკითხველებს ვაუწყეთ ისიც, რომ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომმა მოიწონა უცხოეთში ქართული სპორტის პროპაგანდის წინადადება და გამოთქვა სურვილი, კეთილი ნების თამაშებზე, რომელიც სულ მალე გაიმართება სიეტლში, უკვე ჩაგვეტანა ილუსტრირებული ბუკლეტი, სადაც აისახებოდა ქართული სპორტის ისტორია, ტრადიციები და მიღწევები. სამწუხაროდ, ჟურნალისტთა ჯგუფი, რომელიც ბუკლეტის მომზადებას ოპერატიულად შეუდგა, წააწყდა სერიოზულ წინააღმდეგობას — ჯერჯერობით ვერ მოვიძიეთ თუნდაც ერთი(?!) ხეირიანი სლაიდი, არადა, მაღალხარისხოვანი სლაიდების გარეშე ბუკლეტის გამოცემა არ შეეფერება იმ დონეს და მიზანს, რაც ჩაფიქრებულია.

მივმართავთ ყველას, ფოტოხელოვნებსაც და მოყვარულებსაც, გაგვიწიეთ დახმარება, მოგვაწოდეთ თქვენს ხელთ არსებული სლაიდები (შეიძლება ფერადი ფოტოებიც), რომელიც ქართულ სპორტს, მის გუშინდელ და დღევანდელ დღეს ეხება.

წინასწარ გიხდით მადლობას.

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაცია.

ხუთი რგოლი საქართველოს ცაზე?

ფეხბურთზე საუბარი ქალთან? მერე ისიც მოჰადრაკესთან? მაგრამ ჰადრაკში ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი მხოლოდ ფეხბურთის შესანიშნავი მცოდნე როდია (სხვათა შორის, ბილიარდიც ძალიან უყვარს), იგი საქართველოს ახალშექმნილი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტია და, მაშასადამე, საქართველოს ყველა სპორტსმენის ინტერესებს გამოხატავს.

● თუ შეიძლება, გვითხარით, რა მიზანს ისახავს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი?

— ჩვენი მთავარი მიზანი ოლიმპიურ თამაშებში დამოუკიდებელი ეროვნული გუნდით გამოსვლაა. ცხადია, ეს მისწრაფება უკავშირდება დღეს საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ პროცესებს — ჩვენ ვისწრაფვით აბსოლუტური დამოუკიდებლობისა და სრული თანასწორუფლებიანობისაკენ. თანამედროვე ოლიმპიურ მოძრაობაში შეიშვნელოვანწილად დაკარგულია თავდაპირველი შესანიშნავი პრინციპი. მთავარია არა გამარჯვება, არამედ მონაწილეობა. ხოლო თუ საკითხის სპორტულ მხარეზე ვილაპარაკებთ, ჩვენ გავაანალიზეთ ქართველ ათლეტთა გამოსვლები თანამედროვე ოლიმპიადების მთელი ისტორიის მანძილზე და აღმოვაჩინეთ, რომ თუ რომე ჩვენი სიმბოლური რეტროგუნდი სულ ცოტა მსოფლიოს ოც უძლიერეს გუნდს შორის იყო. ეს მაშინ, როცა ბევრმა ჩვენმა ათლეტმა საერთოდ ვერ მიიღო მონაწილეობა ოლიმპიურ თამაშებში, რადგან, უბრალოდ, სსრ კავშირის სუპერგუნდში ამდენი ადგილი არ იყო. საქართველოს გუნდის სახელით რომ გამოსულიყვნენ, შეეძლოთ მედლებისთვისაც ებრძოლათ, საუკეთესო ექვსეულში მოხვედრაზე ხომ აღარას ვამბობ.

● როგორ აფასებს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ქართველ ფეხბურთელთა გუნდების გამოსვლას სსრ კავშირის ჩემპიონატიდან?

— საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა მხარი დაუჭირა ამ ნაბიჯს, თუმცა პირადად მე ვფიქრობდი, რომ ჯობდა ეს ეტაპობრივად გაგვეკეთებინა.

● რათა ფეხბურთელებს კლასი არ დაეკარგათ?

— არა. ლაპარაკი ქართველ ფეხბურთელთა კლასის დაკარგვაზე იმის გამო, რომ ისინი ძლიერ საბჭოთა გუნდებთან ვერ ითამაშებენ, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია, რადგან ჩვენი გუნდების საერთო დონე საკმაოდ მაღალია. რესპუბლიკის ჩემპიონატმა უკვე დაადასტურა ეს. ასპარეზობა უაღრესად საინტერესო და თანაბარ ბრძოლებში მიმდინარეობს. არასოდეს დამავიწყდება ჩემპიონატის გახსნის მატჩი! ურთმანეთს ხვდებოდნენ თბილისის „იბერია“ და ქუთაისის ფოთის გუნდი. 80-ათასიან სტადიონზე ნემსი არ ჩავარდებოდა. მე არასოდეს მინახავს ასეთი აღფრთოვანებული სახეები. ბევრს თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე.

● იმაზე რას იტყვით, ფიფა-ს შტაბ-ბინა მკაცრი სანქციებით რომ დაგემუქრათ? ხომ არ გამოიწვევს ეს ქართული ფეხბურთის საერთაშორისო იზოლაციას?

— მე ვფიქრობ, ცხოვრება გააუქმებს ყველა ამ სანქციას.

რჩება შთაბეჭდილება, რომ სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციას, უფრო ზუსტად კი მის ზურგს უკან მდგომ სსრ კავშირის სპორტსახკომს, მოლაპარაკება აქვთ გამართული საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რათა, როგორც სჩვევიათ, თავიანთი პირობები გვიკარნახონ. მაგრამ სრული ბლოკადის ორგანიზება, რასაც ალბათ სსრ კავშირში ფეხბურთის მთავარი ხელმძღვანელი ამხანაგი კოლოსკოვი ისურვებდა, არ ხერხდება. ახლახან ჩვენი ნორჩი ფეხბურთელები იტალიაში იყვნენ მიწვეული ძლიერი შემადგენლობის ტურნირზე და, სხვათა შორის, გაიმარჯვეს იქ.

● როგორია თქვენი უახლოესი გეგმები, რა ნაბიჯების გადადგმას აპირებს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი მთავარი მიზნისკენ მიმავალ გზაზე?

— თანახმად ოლიმპიური ქარტიისა, ჩვენ შეგვიძლია სოკ-ში შევიდეთ, თუ საქართველოს ხუთი ეროვნული ფედერაცია მაინც გახდება შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი, აქედან სამი — სპორტის ოლიმპიურ სახეობებში. ამტომ ახლა იქით მივასწრაფვით, რომ ჩვენი ფედერაციები ძლიერნი და დამოუკიდებელნი იყვნენ. გარდა ამისა, განზრახული გვაქვს ფართო პროპაგანდა გავუწიოთ ოლიმპიურ იდეალებს. არ ვიცი, აღნიშნეს თუ არა მოსკოვში 13 მაისი — ოლიმპიური მოძრაობის დღე. მე მგონი, არა. ჩვენში კი, საქართველოში, ოლიმპიური დღე საზეიმოდ აღინიშნა სხვადასხვა სახის შეჯიბრებებით, თუმცა ჩვენი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, სსრ კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისაგან განსხვავებით, სულ ახლახან შეიქმნა...

● არ გიცდიათ კონტაქტის დამყარება სოკ-ის პრეზიდენტთან ხუან-ანტონიო სამარანჩთან?

— ჯერ არა. გვინდა მოვემზადოთ ამ დიალოგისთვის. დასაწყისისთვის ოლიმპიური ქარტიით გათვალისწინებული ის აუცილებელი პირობები უნდა შევასრულოთ, რომელთა შესახებაც უკვე გითხარით.

● როგორ გგონია, სამარანჩი მხარს დაგიჭერთ?

— ჩვენ გვაქვს ამის იმედი. თუმცა ეს არაფერს ნიშნავს. არ შეიძლება იცხოვრო მხოლოდ დღევანდელი დღით. და მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენი ოცნების ასრულება შესაძლებელია.

● თქვენ ჰადრაკში ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი და ათგზის ოლიმპიური ჩემპიონი ბრძანდებით. ძალაუნებურად იბადება კითხვა: თუკი სპორტის სხვა სახეობებში საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისთავადობისთვის იბრძვით, როგორ უყურებთ ამავე პრობლემას თქვენთვის მშობლიურ ჰადრაკში?

— ჩვენ ორჯერ გამოვიყვანეთ საქართველოს ქალთა გუნდი საერთაშორისო საჰადრაკო ოლიმპიადაზე. ოღონდ ესაა, მაშინ სსრ კავშირის დროშით გამოვდიოდით. პირდაპირ გიპასუხებთ: მინდა საჰადრაკო ოლიმპიადებზეც დამოუკიდებელი გუნდებით გამოვიდეთ. და არა მარტო ქალთა, არამედ ვაჟთა ტურნირებშიც, ახლა მე არ შემიძლია საქართველოს საჰადრაკო ორგანიზაციის სახელით ვილაპარაკო. ჩვენ ახალ, ძლიერ, დამოუკიდებელ საჰადრაკო ფედერაციას ვქმნით და საკითხი მან უნდა გადაწყვიტოს. რაც შეეხება ჩემს აზრს, მე დამოუკიდებლობის მომხრე ვარ, მათ შორის — ჰადრაკშიც.

● უკანასკნელი შეკითხვა: თქვენ მოქმედი დიდოსტატი ბრძანდებით, თანაც პირველი ქალი მსოფლიოში, რომელმაც დიდოსტატი ვაყის ნორმა შეასრულა. ხომ არა გაქვთ განზრახული მსოფლიო ჩემპიონატის ტიტულის დაბრუნება?

— მე ვთვლი, რომ ამ წლების მანძილზე საჰადრაკო ძალა არ დამიკარგავს. თუ ფიზიკური ფორმის ცოტა გაუმჯობესება შევძელი, უთუოდ ვიბრძოლებ!

იური ვასილიევი.

„მეგაპოლის ექსპრესი“, № 4

ტურნირის მონაწილე

ბრალს სდებს ეროვნული ზღვარი ხომ

შნდა იყოს

თითქმის ორ კვირას მასპინძლობდა სამტრედიის ბალნეოლოგიური კურორტი — „სამტრედია“, „შევარდენის“ რაისაბჭოსა და რაიონის საჰადრაკო-საშაშო კლუბ „როქის თაოსნობით ჩატარებულ საკავშირო საჰადრაკო შეჯიბრებას — „როქი-90“.

შეჯიბრებისადმი ინტერესს ისიც აძლიერებდა, რომ დაწესებული იყო ფულადი ჯილდოები.

სამწუხაროდ, ისევე როგორც თითქმის ყოველ შეჯიბრებაზე, ამ ტურნირშიც იყო ერთმანეთისთვის ქულების „მიცემ-მოცემა“. ერთპიროვნულმა ლიდერმა მიხეილ ჭიპაშვილმა (მას 5 ტურის შემდეგ 5 ქულა ჰქონდა) მხოლოდ 6,5 ქულა დააგროვა და IV-VIII ადგილები გაიყო. ოსტატობის კანდიდატმა გივი ქორიძემ კი, რომელიც მთელი ტურნირის განმავლობაში ჩრდილში მოექცა, ფინიშზე, რბილად რომ ვთქვათ, უბრძოლველად აღებული ქულებით ლიდერთა შორის დაიმკვიდრა ადგილი. ბოლოსწინა ტურში, ჭიპაშვილთან შეხვედრაში, სადაც ამ უკანასკნელს აშკარად მოგებული ჰქონდა პარტია, ჭიპაშვილმა ფიგურა „მიართვა“ ქორიძეს და დამარცხდა. ბოლო ტურში კი ქორიძე სწრაფად დაუზავდა ჩაჩიბაიას და საბოლოოდ, 7 ქულით III საპრიზო ადგილს დაეუფლა. I-II ადგილები კი 7,5-7,5 ქულით დამსახურებულად მოიპოვეს გოჩა თორიამ და დავით ჩაჩიბაიამ.

სამწუხაროდ, აქვე მინდა ერთ პრობლემას შევეხო, რომელმაც უკვე დიდი ხანია მოიკიდა ფეხი სპორტის თითქმის ყველა სახეობაში. კერძოდ, ვერაფრით ვერ აღმოიფხვრა მშობელთა ჩარევა მსაჯთა კოლეგიის მუშაობაში. ეს კი არა და ზოგიერთი მწვრთნელი (გვარს შეგნებულად არ ვასახელებთ) მშობლებთან ერთად ხელს უშლიდა მსაჯებს წილისყრის ჩატარებაში. ბოლოს და ბოლოს, როდის უნდა ჩატარდეს შეჯიბრება უნაკლოდ?

ვასილ ვაშაკიძე.

რედაქცია კომპეტენტურ დასკვნამდე ავტორის ზოგიერთ მოსაზრებას ვერ გაიზიარებს. წერილი კი იბეჭდება, მხოლოდ იმიტომ, რომ ვ. ვაშაკიძე თავად იყო ამ შეჯიბრების მონაწილე და მას საკუთარი აზრი გააჩნია.

ორი ჯლუს ერთი, კიდევ ერთი და ერთი

ტურნირის ექო

აკრობატიკის **რესპუბლიკურ სპორტულ სკოლას, როგორც არაერთხელ აღგვნიშნავს, ბადალი არ მოეძებნება საბჭოთა კავშირში. აქ აღზრდილმა არაერთმა სპორტსმენმა მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედლით დაამშვენა მკერდი. ახლიდან მაღალი ტიტულების შემდეგ, ცხადია, აღარავის უკვირს მათი წარმატება ქვეყნის ჩემპიონატებში. მიუხედავად ამისა, ვორონეჟში გამართულმა ჩემპიონატმა კიდევ ერთი სახასელო სარეკორდო ფურცელი ჩაწერა სკოლის სპორტული მიღწევების ისტორიაში — ამ სახსოვარლების წარმომადგენელმა შვიდმა სპორტსმენმა ოქროს მედლები დაიბაკუთრა. საბოლოო ანგარიშით მათმა „ნადავლმა“ 21 ოქროს და 1 ვერცხლის მედალი შეადგინა. აღსანიშნავია ისიც, რომ 1979 წლიდან დღემდე სკოლის 20 აღზრდილი გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი.**

— ეს იყო ყველაზე დიდი საჩუქარი ჩემი დაბადების სამოცი წლისთავისათვის — განაცხადა ჩვენთან საუბარში სკოლის დირექტორმა, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა მიხეილ გეგელიამ.

წარსულის სათაური ჩვენი სახელოვანი ქალთა სამეულის, მსოფლიო ჩემპიონების გამოსვლებმა გვიკარნახა. ეს მარტივი არითმეტიკული მაგალითი ასე უნდა „ამოიხსნას“: — უცვლელი იყო სამეულის ორი წევრი — ნატალია ანისიმოვა (ქალი) და ინგა გიორგობიანი (შუა), ხოლო ზედა წევრი სამჯერ შეიცვალა. ინგამ და ნატალიამ პირველად საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მარინე შალაშვილთან ერთად მოიპოვეს, მაგრამ შემდეგ მარინემ წონაში და სიმაღლეში მოიმატა და იმ ფუნქციისათვის, რომელიც სამეულში ზედა აკრობატს ევალება, შეუფერებელი აღმოჩნდა. მწვრთნელი ვლადიმერ გურგენიძე იძულებული გახდა ტალინელი სვეტლანა მაკარიჩევა ჩამოეყვანა. გოგოებმა ახალ წევრთან ერთად კიდევ ერთხელ დაისაკუთრეს ქვეყნის ჩემპიონატის ოქროს მედლები (გარდა ამისა, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატზე 21 ოქროს ჯილდო მოიპოვეს). ისტორია ამჯერადაც განმეორდა, სვეტლანამ სწრაფად დაიწყო ზრდა და მწვრთნელმა ამჯერად საქართველოს მრავალგზის ჩემპიონს (შერეულ წყვილთა შორის) ირმა ოვოიანზე შეაჩერა არჩევანი. გოგოებმა ტრადიციას არც ამჯერად უღალატეს. ვორონეჟში ქალთა ჯგუფურ ვარჯიშში გათამაშებული საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ყველა ოქროს მედალი მათ დაისაკუთრეს.

როდესაც ვკითხეთ, რომელი სამეული იყო ყველაზე ძლიერი, საბჭოთა კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ვლადიმერ გურგენიძემ უყოყმანოდ დაგვისახელა ახლანდელი შემადგენლობა.

— ვერ ვიტყვი, რომ ირმა თავიდანვე მოერგო პარტნიორებს, მაგრამ შეჯიბრებამდე თვე-ნახევრით ადრე ერთბაშად ჩადგა ფორმაში.

აღსანიშნავია, ისიც, რომ ნატალია და ინგა ირმასთან ერთად პირველად გამოვიდნენ ასეთ სერიოზულ შეჯიბრებაში. მანამდე, მათ „დიდ სარბიელზე“ მხოლოდ ერთხელ მოსინჯეს ძალა — შარშან დეკემბერში გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გამართულ ამხანაგურ შეხვედრაში. რაც შეეხება ჩემპიონატს, გოგოებმა ხუთ ვარჯიშში 49,36 ქულა დააგროვეს. ეს, ცხადია, მათი სპორტული ფორმის სტაბილურობაზე მეტყველებს.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონ ვაჟთა ოთხეულს — ემზარ აბუაშვილს, დიმიტრი კარტოზიას, ვაჟა არაყიშვილს, ნიკოლოზ მჭედლიშვილს — სამეულისაგან განსხვავებით, მხოლოდ ერთხელ შეეცვალათ პარტნიორი ორი წლის წინ, გოგორიშვილის ადგილი „ზემო სართულზე“ მჭედლიშვილმა დაიკავა.

ოთხეული სამეულს შედეგებით ჯერჯერობით ვერ გაუტოლდება, მაგრამ ბოლო წლების მიღწევები გვაფიქრებინებს, რომ ჩვენს ვაჟებს მეტი შეუძლიათ. წლეულს მათ წარმატებით დაიწყეს სეზონი — ჯერ იყო და კოსმონავტ ვოლკოვის სახელობის საერთაშორისო ტურნირზე გაიმარჯვეს, ახლახან კი საბჭოთა კავშირის ჩემპიონთა ოქროს მედლები დაისაკუთრეს.

საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ალექსანდრე მავრანშელოვი:

— ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ წინასწარ ვიყავით დარწმუნებული, რომ საბჭოთა კავშირის ჩემპიონობას არავის დავუთმობდით. ალბათ, გაინტერესებთ ჯგუფურ ვარჯიშებში ყველა უძლიერესი მონაწილეობდა თუ არა. ბუნებრივია, გამარჯვება უფრო მაშინ ფასობს, როდესაც იგი ღირსეულ მეტოქეებთან ბრძოლაშია მოპოვებული. გეტყვით, ასპარეზობაში არ გამოსულან მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონები — კიეველი სპორტსმენები. ისევ უნდა აღვნიშნოთ, რომ საკმაოდ კარგად გამოვიდნენ მსოფლიოს ვერცხლის პრიზიორები — ჩვენი „პატარა“ ოთხეული, რომელსაც პირველ ვარჯიშში მათ მეოთხე ადგილი ხვდა. სამწუხაროდ, მეორე ვარჯიშში სვრიიოზული შეცდომა დაუშვა და ფინალს მიღმა დარჩა. კმაყოფილი ვარ თუ არა ჩემი შეგირდების მომზადებით? შედეგით კი, მომზადებით არა. კვლავ ბევრი მუშაობა გვმართებს, მით უმეტეს, ამჯერად სამეცადინო პირობებს არ ვუჩივით.

მეორე ვარჯიშში მცირე ვერცხლის მედალი მოიპოვა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ჯუმბერ ლაშხის აღზრდილმა ელგუჯა ხეთაგურმა.

— ჩვენი მხტომელების მიმართ ბოლო წლებში სამართლიანი პრეტენზიები გამოითქვა, გვითხრა მწვრთნელმა, — ახლა ვითარება იცვლება. გამოჩნდნენ ნიჭიერი ახალგაზრდები. ეგაა, თუ ადრე გოგოები და ბიჭები ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ, ახლა გოგოებმა პოზიციები დათმეს. გვინდა საბჭოთა კავშირის ხალხთა ბოლო სპარტაკიადის ჩემპიონი ფატი სულაქველიძე მოვიწვიოთ. მას ბოლო რვა თვე არ უვარჯიშია, მაგრამ იმედი გვაქვს „ფორმას“ დაიბრუნებს. სავარჯიშო პირობები, რომელსაც ყოველთვის ვუჩიოდით, შედარებით გაგვიუმჯობესდა. „შრომითი რეზერვების“ სპორტულ დარბაზში, როგორც იქნა, შესაფერისი სახტუნაო, თანამედროვე ბილიკი დაგვიგეს. დღეს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ გია მარმარაშვილთან ერთად იმედს იძლევიან ელგუჯა ხეთაგური და გია ქათამაძე.

გამარჯვებულთა მწვრთნელებს ერთი საერთო კითხვა დავუსვით: — ხომ არაფერი შეუშლის ხელს მათ შეგირდებს მსოფლიო ჩემპიონატზე გამგზავრებაში, რომელიც ოქტომბერში დასავლეთ გერმანიაში გაიმართება?

ვლადიმერ გურგენიძე: — პრაქტიკულად, დღეს ჩვენს სამეულს საბჭოთა კავშირში ვერავინ დაჯაბნის. თუ ყველაფერი კარგად იქნა, მსოფლიო ჩემპიონატზე ჩვენს გამგზავრებას წინ აღარაფერი უდგას. მდგომარეობას, ალბათ, ისიც ვერ შეცვლის, ჩემმა აღზრდილებმა შემთხვევით საკავშირო თასის გათამაშებაში რომ წაიფორხილონ. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ დარჩენილ დროში გულხელდაკრეფილნი უნდა ვისხდეთ. ჯერ კიდევ ბევრი დეტალი გვაქვს დასახვეწი. გარდა ამისა, მსოფლიო ჩემპიონატისთვის გვინდა კომბინაცია გავართულოთ — 4 ზერთული ორმაგი მალაყი შევასრულოთ. სხვანაირად გაგვეჭირდება ბულგარეთის, ჩინეთის და პოლონეთის უძლიერეს სამეულებთან წარმატების მოპოვება.

ალექსანდრე მავრანგელოვი. — მსოფლიო ჩემპიონატზე გამგზავრების დიდი იმედი გვაქვს, მაგრამ ამისათვის საკავშირო თასის გათამაშებაც უნდა მოვიგოთ. მხოლოდ ეს მოგვიტანს ჩემპიონატის საგზურებს. ძალიან მეეჭვება რომ, წლეულს მაინც, ჩვენს ოთხეულს ვინმემ გზა გადაუღობოს მედლებისათვის ბრძოლაში. სხვათა შორის, ამ აზრისა არიან ბიჭებიც, ისინი ტექნიკურ-ტაქტიკურად და, რაც მთავარია, ფსიქოლოგიურად მზად არიან თავიანთი უპირატესობის დასამტკიცებლად.

როგორც იტყვიან, წინწილებს შემოდგომაზე ითვლიან, ამასთან მწვრთნელთა იმედიან განწყობილებას ვფიქრობთ, მყარი საფუძველი აქვს. ამის საწინდარი დღემდე მათ მიერ მოპოვებული წარმატებები და ქართული აკრობატული სკოლის მდიდარი ტრადიციებია.

ჯემალ ქასრაძე.

საქართველოს თასზე

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალური ეტაპის მატჩები: „ოდიში“ (ზუგდიდი) — „კოლხეთი“ (ხობი) 1:0, „ქუთაისი“ (ქუთაისი) — „იმერეთი“ (ხონი) 3:1, „სანავარდო“ (სამტრედია) — „ბათუმი“ (ბათუმი) 1:1, „გორდა“ (რუსთავი) — „ივერია“ (ხაშური) 4:0, „მარგვეთი“ (ზესტაფონი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 2:0, „მერცხალი“ (ოზურგეთი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 5:1, „კოლხეთი-1913“ (ფოთი) — „ბეთლემი“ (ქედა) 3:0, „მრეტები“ (თბილისი) — „ლიახვი“ (ცხინვალი) 3:1, „კახეთი“ (თელავი) — „სამგურალი“ (წყალტუბო) 2:2, „სიონი“ (ბოლნისი) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 2:0, „არმაზი“ (მცხეთა) — „ოკრიბა“ (ტყიბული) 1:2, „ამირანი“ (ოჩამჩირე) — „ცხუმი“ (სოხუმი) 2:2, „მართვე“ (თბილისი) — „სიხარული-90“ (გაგრა) 1:1, „დილა“ (გორი) — „მამული“ (დიდი ჭყონი) 7:1.

მეთექვსმეტედფინალების განმეორებითი შეხვედრები 9 ივლისს გაიმართება.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: მომენტი განვლილი მატჩიდან „იბერია“ — „კრწანისი“.

ა. კოჭლამაზაშვილის ფოტო.

უკრაინის დამოუკიდებელი ჩემპიონატი

ამ დღეებში მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრების ხელმძღვანელთა პრესკონფერენცია მსოფლიო ჩემპიონატზე საბჭოთა გუნდის გამოსვლასთან დაკავშირებით.

პრესკონფერენციაზე ნაკრების მთავარ მწვრთნელს ვ. ლობანოვსკის შეეკითხნენ, თუ რა იცის უკრაინის დამოუკიდებელი ჩემპიონატის ჩატარების შესახებ. ვ. ლობანოვსკიმ უპასუხა:

„...უკრაინის დამოუკიდებელი ჩემპიონატის შესახებ ვიცი, რომ გარკვეულ ადამიანთა ჯგუფმა გამოიმუშავა ასეთი ჩემპიონატის ორგანიზაციის პროექტი. მაგრამ მისცემენ თუ არა უკრაინას ადგილს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციაში, ეს ჯერ კიდევ საკითხავია. მიმაჩნია, რომ აქ თავიანთი სიტყვა უნდა თქვან პროფესიონალებმა. ამ საკითხზე არსებობს საფეხბურთო ლიგების კავშირის წინადადება სსრ კავშირის ღია ჩემპიონატის გამართვის შესახებ“.

სსრ კავშირის

პირველობა ფეხბურთში

I ლიგა

„დინამო“ (სოხუმი) — „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) 1:1 (1:1).

სოხუმი. ცენტრალური სტადიონი. 5 ივლისი.

„დინამო“: ოვჩინიკოვი, საბიტოვი, ჩალიგავა, დობაშინი, თ. ლოგუა, ენიკი, კვარაცხელია, ახვლედიანი, სმირნოვი, ჩეკუნოვი, ხაგბა.

„როსტსელმაში“: გავრილოვი, (ბალახნინი), ოსილაევი, კლუჩნიკოვი, პოვოლიაევი, ბულაშენკო, მარჯარიანი, ტიხონოვი, ბონდარი სტიოპუშკინი, სოროკა, პაპადოპულო.

მსაჯი: ა. კარტავცევი (მოსკოვი).

ბურთები: ხაგბა (11-მეტრიანი), ბონდარი.

გააფრთხილეს: ი. კლუჩნიკოვი, ა. ტიხონოვი.

მსოფლიოს XIV ჩემპიონატი ფეხბურთში

ITALIA'90

ვინ მოიპოვებს ჩემპიონობას მესამედ?

(დასასრული)

ჯანინის, ფრანკო ბარეზის, ლუიჯი დე აგოსტინისა და სხვათა რეპუტაციაც, მეკარე ვალტერ ძენგასაც კი კიცხავენ, მან კი მთელ ჩემპიონატში მხოლოდ ერთი ბურთი გაუშვა. იგივე „კორიერე დელო სპორტი“ დაასკვნის, რომ ფეხბურთი მარტო გამარჯვებები როდია, ეტყობა, ნეაპოლში ა. ვიჩინის რიგიც დადგა: „ოცნება იყო ლამაზი, გამოღვიძება კი საზარელი აღმოჩნდა.“

ახლა მეორე ნახევარფინალური მატჩის შესახებ, სადაც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდმა გამარჯვება მოიპოვა ინგლისელებთან შეხვედრაში. გერმანელთა მწვრთნელმა ფრანც ბეკენბაუერმა ჯერ კიდევ მატჩის წინ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა: „დიდად მოხარული ვარ რომ ნახევარფინალში ვეთამაშებით ინგლისელებს და არა კამერუნელ ფეხბურთელებს. ინგლისელთა გუნდს დიდი საფეხბურთო ტრადიციები გააჩნია, აქ გამოდიან უმაღლესი კლასის ოსტატები, ინგლისი — ეს ძალზე დიდი ძალაა, მაგრამ მე თითქმის დანამდვილებით ვიცოდი, რომ ინგლისელები თავიანთ ტრადიციულ ფეხბურთს ითამაშებდნენ გრძელი ფლანგური გადაცემებით და ცენტრში მძლავრი შეტევით. ყველაფერი ეს ჩვენთვის ცნობილი იყო, მოულოდნელობას ინგლისელთაგან არ მოველოდით, მაგრამ, აბა, წარმოიდგინეთ კამერუნელებთან თამაში! ეს გუნდი დამუხტულია მთელი მატჩის განმავლობაში, სიურპრიზებს იგი გვთავაზობს ყოველ წუთს, ნებით თუ უნებლიედ, კამერუნელები განუწყვეტლივ ცვლიან თავიანთ ტაქტიკას უშუალოდ მინდორზე თამაშის დროს და, ამდენად, მათთან ბრძოლის ნიუანსებს წინასწარ ვერ გაიანგარიშებ“.

გფრ-ისა და ინგლისის გუნდებს ხშირად უთამაშიათ ერთმანეთთან, გადამწყვეტ მატჩებს შორის, მსოფლიო ჩემპიონატების შეხვედრებიც არის. ეს ნახევარფინალური მატჩიც უკიდურესად დაძაბულ, შეუპოვარ ბრძოლაში ჩატარდა, იგი, საყოველთაო აღიარებით, გალღებით ჯობდა არგენტინისა და იტალიის ნახევარფინალს. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდმა დამატებითი 11-მეტრიანებით (ძირითადი და დამატებითი დრო — 1:1) გაიმარჯვა — 4:3 და ზედიზედ მესამედ გავიდა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში.

თამაშის პირველ ნახევარში საერთო უპირატესობა ინგლისელებს ეპყრათ, ამას ხელი შეუწყო იმანაც, რომ გერმანელთა ყველაზე სახიფათო თავდამსხმელი რუდი ფიოლერი დაშავდა და იძულებული გახდა მინდორი დაეტოვებინა, მაგრამ პირველ წარმატებას დასავლეთგერმანელმა ფეხბურთელებმა მიაღწიეს 59-ე წუთზე, როცა ბრემემ ძლიერად დაარტყა საჯარიმო, ბურთი მოხვდა ინგლისელთა მცველს პარკერს, მიმართულება შეიცვალა და მეკარე პიტერ შილტონს აღარ შეეძლო კარის ხსნა. 20 წუთის შემდეგ პარკერმა გამოასწორა თავისი „შეცდომა“, ზუსტად გაიყვანა შეტევაზე ლინეკერი, მან გაიმარჯვა რამდენიმე მეტოქე მცველთან ბრძოლაში და გაათანაბრა ანგარიში — 1:1. დამატებით დროს — მესამე და მეოთხე ტაიმებს — ცვლილება ანგარიშში არ მოუხდენია.

საქმე კვლავ დამატებითი 11-მეტრიანების სერიებზე მიდგა და, ისევე როგორც პირველ ნახევარფინალში, პირველი სამ-სამი დარტყმა ინგლისელებმაც (ლინეკერი, ბიორდსლი, პლატი) და გერმანელებმაც (ბრემე, მათეუსი, რიდლე) ზუსტად გაიტანეს, შემდეგ კი პირსის დარტყმა ფეხით მოიგერია გერმანელთა მეკარემ ბოდო ილგნერმა, ტონმა წინ გაიყვანა გფრ-ის გუნდი, ხოლო უოდლმა კი კარს ააცილა გადამწყვეტი დარტყმა.

ამგვარად, დამატებითი პენალტებით — გაიმარჯვეს დასავლეთ გერმანიის ფეხბურთელებმა, მათ კვლავ დაადასტურეს თავიანთი არაოფიციალური ტიტული „მუდმივი ფინალისტები“.

თანამედროვე ფეხბურთში ორი გუნდია, რომლებიც სამ-სამჯერ იყვნენ მსოფლიო ჩემპიონის წოდების მფლობელები — ბრაზილიელები და იტალიელები, ახლა ამ „ელიტათა-ელიტას“ შეუერთდება კიდევ ერთი გუნდი, ან გერმანიის ფედარციული რესპუბლიკა, ან არგენტინა, რომლებიც დღემდე ორჯერ იყვნენ მსოფლიო ჩემპიონები.

ვინ გაიმარჯვებს? ეს კითხვა ყოველ ჩვენგანს გვაწუხებს დიდი შეჯიბრებების წინ და ახლაც მოსვენებას არ გვაძლევს. პროგნოზების მოყვარულნი მრავლად ვართ, ყველას თავისი მოსაზრება აქვს, ყველას თავისი ფავორიტი გააჩნია, დაველოდოთ 8 ივლისს და ხვალ ყველაფერი გაირკვევა...

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ინგლისის გუნდების ნახევარფინალური შეხვედრის მომენტი. ინგლისელი გ. ლინეკერი (მარცხნივ) და გერმანელი ი. კოლერი ბრძოლის დროს.

ფინალური მატჩის მსაჯები

დანიშნეს 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩის არბიტრები. ფინალს არგენტინისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდებს შორის უხელმძღვანელებს მექსიკელი არბიტრი ედგარდო კოდესალი. გვერდით მსაჯებად მას მოეხმარებიან პოლონელი მიხალ ლისტკევიჩი და კოლუმბიელი არმანდო პერეს ხოიოსი. რეზერვშია დანიელი მსაჯი პეტერ მიკელსენი.

საინტერესოა, რომ ეს უკვე ზედიზედ მესამედაა, როცა მსოფლიო ჩემპიონატების ფინალში მთავარი არბიტრია ლათინური ამერიკის წარმომადგენელი. 1982 და 1986 წლებში ფინალებს ხელმძღვანელობდნენ ბრაზილიელები.

მატჩს მესამე ადგილისთვის იმსაჯებს ფრანგი ჟოელ კინიო, მას დაეხმარებიან შვეიცარიელი კურტ როტლისბერგერი და ალჟირელი მუჰამედ ანსალი. სარეზერვო მსაჯია მაჯი ჯუნი (ტუნისი).

შილტონი და ქართველი გოგონა

ალბათ გახსოვთ, ამ რამდენიმე წლის წინ, როდესაც ინგლისის ნაკრებმა თბილისში საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა გამართა, ინგლისის ნაკრების კარს, როგორც ახლა, იტალიაში მსოფლიო ჩემპიონატზე, სახელგანთქმული მეკარე პეტერ შილტონი იცავდა.

თბილისის მატჩის წინადღეს, ინგლისის ნაკრებმა ვარჯიში ჩაატარა ჩვენს სტადიონზე. სახელგანთქმულმა მეკარემ მწვანე მინდორთან მდგარი პატარა გოგონა შენიშნა, გაუღიმა, მიუახლოვდა და მოეფერა. ეს სურათიც მაშინაა გადაღებული.

ს უ რ ა თ ზ ე: სახელგანთქმული პეტერ შილტონი და თბილისის 170-ე სკოლის (ახლა უკვე მეხუთე კლასის) მოსწავლე მზია შარაშიძე.

ფოტო „ლელოს“ არქივიდან.



მონაგრად — ვერცხლი და... პერსპექტივა

თითქოს ხელი წაბკრეს და გაიღვიძეს, ისეა ჩვენი ნიჩბოსნების ხაქმე: რა ხანია არაფერი „ჩაუდენიათ“ ისეთი, გახარებას ვინ დაუძებს, უურადღების ღირსი რომ ყოფილიყო, ამ ორ-ხამ დღეში კი...

ჯერ იყო და, ჩვენმა ახალგაზრდა „აკადემიკოსების“ ხუთეულმა ისაზელა თავი თრაკაიში გამართულ რეგატაზე, სადაც საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელები მსოფლიო ჩემპიონატზე გასაგზავნი გუნდის კანდიდატებს არჩევდნენ, ერთი-ორი დღის მერე კი, მებაიდარეთა და კანოისტთა საკავშირო ჩემპიონატზე საქართველოს ნიჩბოსნების გამოსვლაზეც მივიღეთ ფრიად საინტერესო ცნობები.

მათგან ყველაზე მოულოდნელი და სასიხარულო გახლდათ ინფორმაცია ედუარდ ქაშაკაშვილის წარმატების შესახებ: მოსკოვში, კრილატსკოეს ოლიმპიურ სანიჩბოსნო არაზე გამართულ საბაიდარო მარათონში — 10-კილომეტრიან დისტანციაზე — ფინიშთან მეორე მიცურდა შეიარაღებული ძალების ოთხადგილიანი ნავის ეკიპაჟი, რომლის ერთ-ერთი წევრი ე. ქაშაკაშვილიცაა. მისი ეკიპაჟი თავიდანვე კვალში ჩაუდგა ფავორიტს — საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრებით დაკომპლექტებულ ოთხეულს, რომელმაც წარმატებით იასპარეზა სეულის ოლიმპიადაზე — და ფინიშთან მხოლოდ ორი წამით ჩამორჩა მას. ერთი სიტყვით, 22 წლის ფოთელი ნიჩბოსანი, ამჟამად საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი, ვერცხლის მედლით ბრუნდება შინ, ქაშაკაშვილი და მისი მეგობრები კიდევ ორი დისტანციის (1000 და 500 მეტრზე) ფინალში გავიდნენ, მაგრამ იქ მათი შედეგები შედარებით მოკრძალებული იყო — IV და V ადგილები.

განსაკუთრებული ინტერესით ველოდით ცნობას ქართველ კანოისტთა ოთხეულის გამოსვლის შესახებ. ჯერ ერთი, რომ ოთხადგილიანი კანოე საკავშირო ჩემპიონატების სიაზლეა, მეორეც — ბოლო წლებში მხოლოდ მებაიდარეები (კერძოდ კახა ლომიშვილი და ე. ქაშაკაშვილი) ახერხებდნენ „საკავშირო სტანდარტების დონეზე“ ასპარეზობას, კანოისტები კი გამუდმებით ჩრდილში იდგნენ. ამჯერად მათაც გამოიღეს ხელი — გიორგი კახიშვილი, თენგიზ დვალიშვილი, დავით დოდაშვილი და ლევან თვაური ფინალში გავიდნენ. იქნებ იფიქროთ, ფინალში გასვლა რა ბედენაა, მთავარი ისაა, იქ რა ადგილი დიაკავესო. მთავარი, მართლაც, საბოლოო შედეგი გახლავთ, მაგრამ, ალბათ, დაგვეთანხმებით, ამდენი ხნის წარუმატებლობის შემდეგ ელიტის წარმომადგენლების (საკავშირო ჩემპიონატის ფინალი კი მხოლოდ ასე თუ ისე შეფასდება) მხარდამხარ ბრძოლის უფლების მოპოვება ურიგო შედეგი არ გახლავთ. თუ რა „იოლია“ ამ უფლების მოპოვება, თავად განსაჯეთ: საკავშირო ჩემპიონატში მრავალი ძლიერი ეკიპაჟი მონაწილეობს, საბოლოოდ კი მხოლოდ ცხრა ნავს ეძლევა ფინალში გამოსვლის უფლება. ჩვენმა ოთხეულმა თავი არ დაზოგა და საბოლოოდ მერვე ადგილი დაიკავა. ამ საყურადღებო შედეგზე რომ ვლაპარაკობთ, უმადურობა იქნება, ერთი ადამიანი არ ვახსენოთ: „შვიათია, რომ იმდენი ეწვალოს და ენერვიულოს ადამიანს, რამდენიც რუსთაველ მწვრთნელს — ალექსანდრე წიფწიავაძეს. მრავალი ობიექტური და სუბიექტური მიზეზი უშლიდა ხელს ამ სპეციალისტს, აღსაზრდელები ნორმალურად რომ ევარჯიშებინა, მაგრამ სიძნელეებს არ შეუშინდა, საქმეს არ უღალატა და საწადელს მაინც მიაღწია — კანოისტთა ამ ოთხეულიდან სამი — კახიშვილი, დვალიშვილი და დოდაშვილი — მისი აღზრდილია. ეკიპაჟის მეოთხე წევრი — ლევან თვაური, გლდანის ოლიმპიური რეზერვის სასწავლებლის მოსწავლეა (მწვრთნელი — ვლადიმერ ბლიზნიაკოვი).

ერთი საინტერესო ფაქტი: დიდი ხნის შესვენების შემდეგ გარჯიში განაახლა კახა ლომიშვილმა. გახსოვთ ალბათ, იგი საქართველოს მებაიდარეთა ნაკრების ლიდერი, საკავშირო ნაკრების წევრი და სეულის ოლიმპიადაზე გამგზავრების კანდიდატი გახლდათ. საქართველოს ნაკრების წევრებთან ერთად მანაც იასპარეზა ამ ჩემპიონატში, მაგრამ, ცხადია, მხოლოდ იმ მიზნით, რომ ჩვეული სპორტული ფორმის აღდგენას შესდგომოდა. მისი დაბრუნება რომ ძალიან წაადგება საქართველოს ნაკრებს, ამას, ცხადია, მტკიცება არ სჭირდება: გუნდს ორი გამოცდილი ლიდერი ეყოლება და იმის შესაძლებლობაც გაჩნდება, ორადგილიანი ბაიდარის მაღალი კლასის ეკიპაჟი ჩამოყალიბდეს. თუმცა ეს ზოგადად მომავლისა, და კერძოდ, საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელის ვიაჩესლავ მიქავას საქმეა — საკავშირო ჩემპიონატის შედეგებმა დაგვარწმუნა, რომ მწვრთნელმა ძიების გზაზეა.

თ. ზენგელია.

ფეხბურთი-ეროვნული

ყველასათვის სანუკვარი „ადიდასი“

ბერლინი. აქ დამთავრდა მძლეოსანთა დიდი საერთაშორისო შეჯიბრება „გრან პრის“ პროგრამით. ნაჩვენებია რამდენიმე უმაღლესი კლასის შედეგი. მათგან პირველ რიგში უნდა გამოვყოთ იამაიკელი სპრინტერი ქალის შერილინ ოტის გამარჯვება 200 მეტრზე რბენაში. დრო, რომელიც იამაიკელმა ამ დისტანციაზე აჩვენა (21,94) წლეულს საუკეთესოა მსოფლიოში. 100 მეტრი ოტმ 11,01-ში გაირბინა.

ჯეთა შეჯიბრების ყურადღების ცენტრში იყო ორი ამერიკელი თარჯმრბენის — გრეგ ფოსტერისა და როჯერ კინგდომის „დუელი“. 110-მეტრიან დისტანციაზე წარმატება, ამჯერად, ფოსტერს ხვდა. მან ორი მეასედი წამით აჯობა კინგდომს, რომლის შედეგია — 13,29.

საბჭოთა მძლეოსნები პროგრამის ვერც ერთ სახეობაში ვერ მოხვდნენ პრიზიორთა შორის.

ლონდონი. უიმბლდონის ჩოგბურთელთა ტურნირი ფინიშის სწორზე გავიდა. ერთეულთა თანრიგში გამოვლინდნენ ნახევარფინალისტები. ვაკთა შორის ბრძოლას განაგრძობენ: ივან ლენდლი (ჩეხოსლოვაკია), სტეფან ედბერგი (შვეცია), ბორის ბეკერი (გფრ) და გორან ივანიშევიჩი (იუგოსლავია).

რამდენიმე სიტყვა იმაზე, თუ როგორ გაიკაფეს მათ გზა ნახევარფინალში. ივანიშევიჩმა, მაგალითად, საკმაოდ მძაფრ ბრძოლაში აჯობა გამოცდილ ამერიკელ ჩოგბურთელს კევინ კარენს — 4:6, 6:4, 6:1. აღსანიშნავია, რომ საფრანგეთის ღია ჩემპიონატის პირველ წრეში ბეკერს სწორედ ივანიშევიჩმა მოუგო.

ძნელი ბრძოლა გადახდა ლენდლს მეოთხედფინალში, სადაც მისი მეტოქე იყო ამერიკელი ბრედ პირსი (მსოფლიო კლასიფიკაციაში მას მხოლოდ 120-ე ადგილი უკავია). ძალები თითქოს უთანაბრო იყო, მაგრამ მსოფლიოს პირველ ჩოგბურთელს (ლენდლს) პრინციპული ბრძოლის მოგება ერთობ გაუჭირდა — 6:4, 6:4, 5:7, 6:4. ედბერგმა სამ პარტიაში დაამარცხა (6:3, 6:2, 6:4) თანამემამულე კრისტიან ბერგსტროიმი.

ნახევარფინალში მეტოქეები ასე დაწყვილდნენ: ბეკერი — ივანიშევიჩი, ლენდლი — ედბერგი.

ტურნირის ერთ-ერთი მთავარი სენსაცია გახლავთ ქალთა ნახევარფინალში შტეფი გრაფის (გფრ) დამარცხება ამერიკელ ზინა პარისონთან — 3:6, 6:3, 4:6.

ჰიბისონის მეტოქე ფინალში იქნება მარტინა ნავრატილოვასა (აშშ) და გაბრიელა საბატინის (არგენტინა) შეხვედრაში გამარჯვებული.

ქალთა წყვილების თანრიგში ლვოველმა ლარისა სავჩენკომ და მინსკელმა ნატალია ზვერევამ მეოთხედფინალს მიაღწიეს და ახლა იქ შეხვდებიან გრაფისა და საბატინის საკმაოდ ძლიერ დუეტს.

ამ სახელწოდების ფირმის სპორტულ ნაწარმს მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფოში იძენენ. დიდბრიტანეთი სიამოვნებით იძენს სამფოთლას ემბლემით დამშვენებულ საწვრთნელ კოსტუმს, ფეხსაცმელს, პერანგსა და ჯემპერს, სვიტერს, წინდას, იხურავს ქუდს, იკეთებს სათვალეს, ატარებს ჩანთას... სპორტსმენები უმეტესად „ადიდასის“ ინვენტარზე ვარჯიშს ამჯობინებენ, უამრავ საერთაშორისო ტურნირსა თუ ნაირგვარ ჩემპიონატებზე ისევ სამფოთლას ემბლემიანი იარაღები ჭარბობენ.

დიდი ხანი არ არის თბილისშიც დაიწყეს „ადიდასის“ მარკიანი რამდენიმე დასახელების სპორტული ნაწარმის დამზადება. აღიარებულ ფირმასთან გაფორმებულმა კონტრაქტმა დიდი სარგებელი მოგვიტანა — თბილისურ „ადიდასს“ წუნს ძნელად თუ მოუძებნით, ალბათ ამიტომაც არის, რომ მყიდველი არ აკლია. ესეც არ იყოს, ფირმა მწარმოებელს სულ პატარა გადაცდომასაც არ აპატიებს — ნაწარმი უმაღლესი ხარისხისა უნდა იყოს, არადა მარკის ღირსება დაეცემა, რაც აუნაზღაურებელ ზარალს გამოიწვევს. „ადიდასისათვის“ მიუღებელია თვალის დახუჭვა, პირიქით, იგი დიდი სიფხიზლესა და ყურადღებას მოითხოვს, სხვანაირად სამფოთლიანი სიმბოლიკის ნაწარმი მომხმარებელს დაკარგავს.

ყველაფერი კი 1920 წელს დაიწყო, როცა ფირმის დამაარსებელმა ადოლფ დასლერმა თვითონ შეკერა პირველი საწვრთნელი ფეხსაცმელი.

დღეს „ადიდასი“ მთელი იმპერიაა და მსოფლიო სპორტულ მოდას კარნახობს, მისი საწარმოები ევროპის, აზიის, აფრიკის, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის ორმოცდაათ ქვეყანაშია განლაგებული. 1972 წლიდან მოყოლებული ფირმა ოლიმპიური თამაშების ოფიციალური სპონსორი გახლავთ, ხოლო დაწყებული 1970 წლიდან, ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატებში გოლები ამ საწარმოებში დამზადებული ბურთებით გააქვთ. ასეთია სახელგანთქმული „ადიდასი“ შთამბეჭდავი ანკეტური მონაცემები.

ძნელია იმისი თქმა, თუ როგორ ესახებოდა თავისი საქმის მომავალი ადოლფ დასლერს, როცა 1948 წელს რეგისტრაციაში გაატარა საკუთარი წამოწყება. ერთი კი ცხადია, რომ მან ბრწყინვალედ იცოდა სპორტსმენთა პრობლემები და თანაუგრძნობდა მათს სურვილებს. თვითონ გატაცებით თამაშობდა ფეხბურთსა და ჰოკეის, კრივშიც ცდიდა ძალებს, მონაწილეობდა მძლეოსნურ შეჯიბრებებში, სამოცი წლისამ პირველად დაიკავა ჩოგბურთის ჩოგანი.

ქმნიდა რა ახალ საქმეს, მხედველობიდან არ რჩებოდა სულ მცირე წვრილმანიც კი. ფირმის სასაქონლო ნიშნის შემუშავების დროს მთავარ ყურადღებას მის სისადავესა და ელეგანტურობას უთმობდა. ასე შეიქმნა სამი ზოლი და სამფოთლას გამოსახულებიანი ემბლემა, რომელიც ყოველთვის არის გამოსახული ფეხსაცმელზე, ტანსაცმელზე, პრაქტიკულად სპორტის ყველა სახეობისათვის საჭირო ყველანაირ აღჭურვილობაზე. სახელწოდების შერჩევისას, ცხადია, დასლერს ტრადიციის მიხედვით საკუთარი სახელის ჩართვაც სურდა, ამასთან იგი ადვილად დასამახსოვრებელი და ეფექტური უნდა ყოფილიყო. შინაურები და ახლობლები მას ადოს ეძახდნენ და სწორედ ამ შემოკლებული სახელის და გვარის ურთიერთშერწყმით დაიბადა ფირმის სახელწოდება — „ადიდასი“. მის წარმატებაში საგრძნობი როლი ითამაშა ადოლფის მეუღლემ კეტემ. მართალია, ფეხსაცმელთან მას არავითარი კავშირი არა ჰქონდა, მაგრამ სამაგიეროდ საკუთარ თავზე აიღო ყველა საოჯახო საქმე, რითაც მეუღლეს საშუალება მისცა წამოწყებულისათვის დაეთმო მთელი დრო.

თავდაპირველად დასლერთან ორმოცდარვა კაცი მუშაობდა.

ამჟამად კომპანია სპორტული ინვენტარის უმსხვილესი მწარმოებელია დედამიწის ზურგზე. მასში ათი ათასზე მეტი ადამიანია დასაქმებული. მარტო სპორტულ ფეხსაცმელს ყოველდღიურად 250 ათას წყვილს კერავენ. ფეხსაცმელი ფირმის განსაკუთრებული სიამაყეა. მარტო იმის თქმა, რომ მოხერხებულია ცოტას ნიშნავს. დასლერი ერთ-ერთი პირველი მწარმოებელი იყო, რომელმაც სპორტსმენთა დაუძინებელი მტრის — ტრავმატიზმის ამაცილებელი ფეხსაცმლის დამზადება დაიწყო; ბიზნესმენი და ჩინებული ორგანიზატორი საკუთარ თავს დილეტანტობის ნებას არ აძლევდა და აუცილებლობად მიაჩნდა ძირისძირობამდე სცოდნოდა საფირმო პროდუქციასთან დაკავშირებული ყოველი წვრილმანი. ოცდაათიან წლებში კოლეჯში დაიწყო სწავლა და ორწლიანი კურსის თორმეტ თვეში ათვისებით ყველაფერი შეისწავლა, რაც კი მაშინ იყო ცნობილი ფეხსაცმელის კონსტრუირებასა და წარმოებაში. გამოგონებებისათვის მიღებულმა შვიდასზე მეტმა პატენტმა, უამრავმა სხვა სიახლემ და სრულყოფამ ძალზე მაღლა დააყენა დასლერის ავტორიტეტი სპორტულ მრეწველთა შორის.

მუდმივი ძიება, ტექნიკური და სამეცნიერო სიახლეების გამოყენება ფირმაში არა მარტო ტრადიციად იქცა, არამედ ამან ხელი შეუწყო მის წარმატებულ აღმასვლასაც. დღეს კონსტრუქტორებს ხელთა აქვთ კომპიუტერები, რომლებიც თავიანთი გაანგარიშებებით უახლეს ანთროპოლოგიურ მონაცემებს ეყრდნობიან. ამაში ხომ სპორტულ მიღწევათა წინაპირობაა ჩადებული. ამიტომაც ინახავენ ფირმის მუზეუმში მსოფლიოს სპორტის ვარსკვლავების — ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულებისა და რეკორდსმენების, მსოფლიო ჩემპიონების, დიდი საერთაშორისო ტურნირების ლაურეატების საჩუქრებს. იქაურ სტენდებზე ნახავთ ლეგენდარული ამერიკელი მძლეოსნის ჯესი ოუენსის ფეხსაცმლის ქაცვებს, რომელთა დახმარებითაც 1936 წლის ოლიმპიურ თამაშებში ოთხი ოქროს შედალი მოიპოვა, იქვე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფეხბურთელთა ნაკრების კაპიტნების ფრიც ვალტერისა და ფრანც ბეკენბაუერის ბუცები, მძიმეწონის სახელგანთქმული მოკრივის მუჰამედ ალის ხელთათმანები, მსოფლიოს უძლიერესი „ჩოგნების“ ივან ლენდლისა და შტეფი გრაფის ჩოგნები...

მიუნხენის 1972 წლის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილე სპორტსმენების 78 პროცენტი სამზოლიანი სპორტული ფეხსაცმლით გამოდიოდა. ოთხი წლის შემდეგ, მონრეალში ეს ციფრი 83 პროცენტამდე გაიზარდა. ბაზარი კი სულ უფრო ფართოვდება. აი შემდეგი ციფრებიც: ლოს-ანჯელესის თამაშებში მონაწილე 140 გუნდიდან 124 „ადიდასით“ იყო აღჭურვილი, მის ფორმაში გამოწყობილმა ათლეტებმა 259 მედალი მოიპოვეს, სეულის ოლიმპიადაში კი მედლების რიცხვმა 365-ს მიაღწია.

კონკურენტებთან ბრძოლაში, რომელთა შორის არიან ცნობილი ამერიკული „რიბოკი“, დასავლეთგერმანული „პუმა“, იაპონური „ნაიკი“ და სხვები, „ადიდასი“ არაფერს იშურებს თავისი პროდუქციის სარეკლამოდ. ამისათვის იგი მსოფლიოს უძლიერეს ათლეტებთან ერთად სპორტის სხვადასხვა სახეობის საუკეთესო ნაკრებ გუნდებს იყენებს. ფართოდ იყენებს კინოსა და ესტრადის ვარსკვლავების სპორტით გატაცების შემთხვევებსაც, რის თაობაზეც ხშირად იწერება ფირმის კუთვნილ ჟურნალ „პოპ-ნუსში“. თავის დროზე მან მკითხველებს მოუთხრო ახალგაზრდობის კერპებზე სილვესტერ სტალონზე და მიკი რურკეზე, რომლებიც სამოტოციკლეტო რბოლებით იყვნენ გატაცებული, ფეხბურთის თავგამოდებულ ქომაგებზე, ცნობილ მუსიკოსებზე როდ სტიუარტსა და ელტონ ჯონზე. სახელგანთქმული ამერიკელი მომღერლის ჰარი ბელაფონტეს ოცდაცხრა წლის ქალიშვილი, ესტრადის ვარსკვლავი შერი ბელაფონტე კი თურმე გოლფითა და საცხენოსნო რბოლებით ყოფილა გატაცებული. ცხადია, ჟურნალში დაბეჭდილ ფოტოებში ყველა დასახელებული პიროვნება „ადიდასის“ ტანსაცმელშია გამოწყობილი. ამით ორივე მხარე სარგებლობს: ფირმისათვის ეს დამატებითი რეკლამაა, ახალგაზრდა მკითხველისათვის კი მიბაძვის კარგი საშუალება.

„ადიდასი“ მსოფლიოს 160 ქვეყანაში გზავნის საკუთარ ნაწარმს.

მოამზადა ბელა ჯიღაურმა.

რამდენს „იწონიდა“ გარინჩას დარტყმა?

როცა სპორტსმენი წამში ათი მეტრის სისწრაფით გარბის, მიწაზე მისი ფეხის დარტყმის ძალა 350 კილოგრამს აღწევს. დარტყმის კიდევ უფრო დიდი ძალა წარმოიქმნება სიგრძეზე ხტომის დროს.

განსაკუთრებით დიდ ძალას შეიცავს მოკრივეების, კერძოდ, მძიმეწონის მოკრივეების დარტყმა. ამ ძალის გაზომვა ზუსტად შეიძლება სპეციალური დინამომეტრის საშუალებით. ცნობილი ამერიკელი მოკრივის ფულმერის მარჯვენათი დარტყმა 504 კილოგრამს „იწონიდა“, ხელის მოძრაობის სიჩქარე კი ასეთ დროს წამში 13,6 მეტრს აღწევს.

რამდენს „იწონის“ ბურთზე ფეხბურთელის დარტყმა? 1965 წელს, საბჭოთა კავშირში, როგორც ცნობილია, სახელგანთქმული ბრაზილიელი ფეხბურთელები ჩამოვიდნენ. სპეციალისტებმა გადაწყვიტეს დინამომეტრის საშუალებით გაეზომათ გარინჩას დარტყმის ძალა. დინამომეტრის ისარი 750 კილოგრამზე ავარდა. მაგრამ არც ეს არის საზღვარი. არიან ფეხბურთელები, რომელთა დარტყმის ძალა, თურმე 1200 კილოგრამს აღწევს.

ხურათზე: მანუელ ფრანცისკო დო სანტოსი (გარინჩა).

იუგოსლავიელები იმედოვნებენ

გუნებრივია, ყველას აინტერესებს ითამაშებენ თუ არა მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც აგვისტოში დაიწყება, იუგოსლავიელი პროფესიონალი კალათბურთელები. იმედოვნებენ, რომ ნბა-სთან მოლაპარაკების თანახმად დრაჟენ პეტროვიჩი („პორტლენდ თრეიდ ბლეიზერსი“), ჟარკო პასპალი („სან-ანტონიო სპურსი“), ვლადო დივაჩი („ლოს ანჯელეს ლეიკერსი“), მონაწილეობას მიიღებენ არგენტინის ჩემპიონატში. მათი დაშავების შემთხვევაში იუგოსლავიის კალათბურთის ფედერაცია ნბა-ს გადაუხდის გარკვეულ თანხას.

რედაქტორი

თ. გაჩეჩილაძე.

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ო. ნოზაძე. კორექტორები ქ. ქავთარაძე და ე. ხომერიკი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096,
თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54,
„მერანი“ — 93-97-29, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხიშარაულის, 29.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08 779